საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 64
(11 521)

17 – 20 აგვისტო, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის

წარმატება, რომელშიც დიდია ვეტერანთა წვლილი

ჩვენში თანდათან მკვიდრდება იმის შეგნება, რომ ქართული სპორტი, როგორც ეროვნული ფენომენი, საერთო მოსავლელია, ამის მისაბაძი მაგალითი პირველებმა მოგვცეს ჩვენმა სახელოვანმა ვეტერანმა ფალავნებმა.

მსოფლიო ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში (ახლა სწორედ ჩემპიონატად იწოდება და არა პირველობად) ახალგაზრდებს შორის, ძალზე ავტორიტეტულ ასპარეზობად იქცა. საქმე მარტო ის არაა, რომ აქ მომავალი ოლიმპიელები გამოდიან ხალიჩაზე და უფროსი თაობის მემკვიდრეებად გვევლინებიან, ჩემპიონატი სტიმულს აძლევს მთელ მსოფლიოში სპორტის ამ ორთაბრძოლის სახეობების შემდგომ პოპულარობას. დასტურად ისიც გამოდგება, რომ სულ უფრო მეტი ქვეყნებია წარმოდგენილი სარბიელზე, შთამბეჭდავად იზრდება ოსტატობაც.

წლევანდელი ჩემპიონატი ჩატა-

იხ. მე-2 გვ.

არგენტინელები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სცენაში გასვლას ზეიმობენ!

5

ბრაზილია — პარაგვაი • რივალდოს გოლი

ჩილე — გოლივია

მილოცვა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავს ვეტერან ხელბურთელს, საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტს, სეოკ-ის წევრს *გია აბესაძეს.*

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია უერთდება ამ მილოცვას.

7

რუდ ვან ნისტელროი – ფეხბურთელი, რომელსაც უპერსპექტივოდ თვლიდნენ, წლეულს კი „მანჩესტერ იუნაიტედში“ ტრანსფერის რეკორდსმენი გახდა...

თარიღი

17 აგვისტო ვეტერანი ქართველი ფეხბურთელის, რამაზ ურუშაძის დაბადების დღეა, ვულოცავთ!

ანონსი. „ლელოს“ შემდეგ ნომერში:

„რონალდო ბირდა და დედას უხმობდა...“

5

ამხანაგური საერთაშორისო მაჩჩები

სურათზე: ინგლისი — ჰოლანდია

გაზეთის დაბეჭდვის წინ:

გუშინ „ტოტენჰემის“ ფეხბურთელთა მთავარმა მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა გუნდის კაპიტნად დანიშნა ტედი შერინგემი, რომელმაც „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლამდე ამ კლუბში ხუთი სეზონი გაატარა და გულშემატკივართა დიდი სიყვარული დაიმსახურა.

ჩოგბურთელები ტორონტოში



ხუბერი

მესამე წრე: ენინი (ბელგია) — ფრეიზერი (აშშ) 6:3, 6:2; ხუბერი (გერმ.) — მორესმო (საფრ.) 6:3, 6:3; ენინი და ხუბერი პირველი მეოთხედფინალისტები არიან (მეორე წრის შეხვედრები იხ. მე-2 გვ.).

ევროპა — თათრეთი

ყაზანში ევროპისა და თათრეთის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების მეორე მატჩი დამთავრდა ევროპელთა გამარჯვებით — 3,5-2,5. კარპოვმა, კორჩნოიმ, ხარლოვმა, გალიამოვამ და ჩიბურდანიძემ თავიანთი პარტიები ყაიმით დაასრულეს. ორი შეხვედრის შედეგია 6:6.

კურტინაიტისმა სამუშაო იშოვა

როგორც ვიუწყებოდით, ლიტვის სპორტის ხელმძღვანელი, წარსულში ცნობილი კალათბურთელი რიმას კურტინაიტისი თანამდებობიდან გადადგა. იმავდროულად მას უკვე სამუშაო უკრაინაში შესთავაზეს, საკალათბურთო კლუბ „კიევში“.

„ყველა საკითხში შეთანხმებული ვართ. დარჩა მხოლოდ დეტალების დაზუსტება“, — თქვა კურტინაიტისმა. საკალათბურთო კლუბ „კიევის“ ხელმძღვანელებს ამბიციური გეგმები აქვთ და მათი განხორციელება კურტინაიტისის დახმარებით სურთ.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

SALT LAKE 2002

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი დარჩა

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 179 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

წარმატება, რომელშიც დიდია ვეტერანთა წვლილი

(პირველი გვერდიდან)

რდა ტაშკენტში. საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის 2001 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში ამ ჩემპიონატში ჩვენების მონაწილეობა იგეგმებოდა, გათვალისწინებული იყო წინასაასპარეზო შეკრებაც, მაგრამ საამისოდ სახსრები აღარ კმაროდა. უშეკრებოდ ჩემპიონატზე გამგზავრება კი თუ რას ნიშნავს, ყველამ კარგად იცის, დეპარტამენტს და ფედერაციას სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში ამოუდგნენ მხარში ჩვენი საამაყო ვეტერანები და პიროვნული, გნებავთ პატრიოტული ღირსებებით გამორჩეული ფალავნები ლევან თედიაშვილი, რომან რურუა, დავით გობეჯიშვილი და გივი ყვარელაშვილი. პირადად მათ ითავეს შეკრების ჩატარება, ბაზა კი დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელმა გამოყო უსასყიდლოდ გლდანში. ჩემპიონატზე გამგზავრების თანხის მოძიებაც არ იყო ადვილი, მაგრამ სპორტის დეპარტამენტმა ეს პრობლემა თავად მოაგვარა.

ახლა, როცა ჩემპიონატი ისტორიის კუთვნილება გახდა, ნამდვილად გვაქვს საამაყო. ნურც იმის თქმას მოვერიდებით, რომ ეს წარმატება საერთო ძალისხმევამ განაპირობა და ყველას დაგვანახვა თუ რა შეუძლია ურთიერთთანადგომას. არადა, მართლა საცოდაობა იქნებოდა, ამ ნიჭიერ თაობას, რომელიც წინამორბედთა სასიქადულო ტრადიციებზე იზრდება, თავისი ოსტატობა-შემართების წარმოჩენის შესაძლებლობა არ მისცემოდა.

ახლა თვით ჩემპიონატისა და ამ სითბოს შესახებ, რომელიც, ფაქტობრივად, თბილისში ჩვენი ახალგაზრდა ფალავნებისადმი გამოჩენილი ყურადღების ტაშკენტის გაგრძელება იყო.

„უაღრესად მწვავე კონკურენციაში აბსოლუტურად ყველა შეხვედრა უკიდურესად დაძაბული იყო, ჩვენმა ბიჭებმა შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინეს და გვასახელეს კიდეც“ – გვითხრა ტაშკენტიდან დაბრუნების შემდეგ ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა.

უპირველესად, უნდა გამოვყოთ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა წარმატება. უპირველესად იმიტომ, რომ ამ რანგის ასპარეზობაში 1989 წლის შემდეგ აღარ გვყოლია გამარჯვებული, ახლა კი ორ ახალგაზრდა ფალავანს უხმეს ჩემპიონატის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ესენი არიან გორელი ამირან ელბაქიძე (50 კგ) და შალვა მუზაშვილი (63). ერთიც მეორე პრიზიორი – ბესარიონ გოჩაშვილი (54) გორელია. საამაყოა ისიც, რომ საქართველოს ნაკრებმა რუსეთისა და ირანის შემდეგ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა გუნდურ ჩათვლაში. მადლობა უფროს მწვრთნელს ნუგზარ სხირელს!

ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ახალგაზრდა ოსტატთა შორის ჩემპიონობა წილად ხვდა ბათუმელ რამაზ დევაძეს (97), მეოთხე იყო ასევე ბათუმელი ელიზბარ მაჭუტაძე (69), მეხუთე – თბილისელი პაატა ბიწაძე (58), მეექვსე – ოზურგეთელი ლაშა ლომიძე (63), მეშვიდე – თბილისელი შალვა გადაბაძე (76). აქ გუნდურ ჩათვლაში ჩვენებს მეოთხე ადგილი ხვდათ წილად რუსეთის, თურქეთის და ირანის შემდეგ. „კლასიკოსთა“ უფროსი მწვრთნელია ვლადიმერ ადეიშვილი.

ახლა იმის შესახებ ტაშკენტში გამოჩენილ რა სითბოს ვგულისხმობდით: როგორც ცნობილია, ტაშკენტში საქართველოს საელჩოს, სპორტის თავგამოდებული ქომაგი გივი აბდუშელიშვილი ხელმძღვანელობს. ეს კაცი ერთი წუთითაც არ მოშორებია გვერდიდან ჩვენს დელეგაციას, ყურადღებაში ვგულისხმობთ ყველაფერს, რაც ქართული სტუმართმოყვარეობისთვისაა ნიშანდობლივი, დავამატებთ ოღონდ იმას, რომ ჩემპიონატში თავგამოჩენილი თანამემამულე მოჭიდავეები შინაურმა მასპინძელმა ფულითაც დაჯილდოვა.

ომზარ შოშიტაშვილი: „ჩემპიონატმა ნათლად დაგვანახვა, რომ უაღრესად ნიჭიერი, მიზანმიმართული, გამარჯვებისკენ შეუპოვრად მსწრაფი ახალგაზრდა ფალავნები გვეზრდება. ტაშკენტში ცნობილმა სპეციალისტებმა, ვინც კარგად იცნობს ქართული საჭიდაო სკოლის ტრადიციებს, ერთნიშნად აღიარეს, რომ უკვე ძველი დიდების დაბრუნების გზაზე ვდგავართ და ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა ვართ. აქვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ისეთი უნარიანი და თავდადებული ხელმძღვანელის თავკაცობით, როგორიცაა ჩვენი ფედერაციის თავმჯდომარე გოჩა ძასოხოვი, მომავალში უფრო თვალსაჩინო წარმატებებს მივაღწევთ“.

ნამდვილად არ ვიქნებით მართლები და უმადურობა იქნებოდა, ტაშკენტში მიღწეული წარმატება რომ რამდენიმე დღიან და ვეტერანთა შემწეობით მოწყობილი ერთი შეკრებისათვის მიგვეწერა, ნაკრებში ხომ მხოლოდ რჩეულები ხვდებიან. დიდ მადლობას იმსახურებენ გორში და ბათუმში, თბილისსა და ოზურგეთში მომუშავე მწვრთნელები, რომელთა თავდადება და ნდობა ახალგაზრებისადმი, მომავალშიც უთუოდ არაერთ წარმატებას გვაზიარებს.

თ. თომაშვილი

ვოლგოგრადში ოლიმპიელთა ხეივანს გახსნიან

სულ მალე ვოლგოგრადში, ცენტრალურ სანაპიროზე, ოლიმპიელთა ხეივნის გახსნას იზეიმებენ. თვალსაჩინო ექპონატებს შორის იქნება ცურვის ვარსკვლავთა – ალექსანდრ პოპოვის, ევგენი სადოვოის და დენის პანკრატოვის ქანდაკებები. ხეივნის გაშენება ითავა ოლქის ყოფილმა გუბერნატორმა, ამჟამად ფონდ „გუბერნიის“ პრეზიდენტმა ივან შაბუნინმა.

შაბუნინს ეს იდეა 1996 წელს გასჩენია ატლანტაში ოლიმპიადის შემდეგ. მაშინ, როგორც გუბერნატორმა, პატივი მიაგო ვოლგოგრადელ ოლიმპიელებს, რომლებმაც მედლები მოიპოვეს. უკვე ცნობილია, რომ ოლიმპიურ ჩემპიონთა ქანდაკება ხეივანში სრული სიმაღლის იქნება.

ალექსანდრ პოპოვის ქანდაკება

მოცურავეთა გარდა ხეივანში იხილავენ ხელბურთელების გრებნევის, ვასილევის და პოგორელოვის, ძალოსან პეტროვის, მძლეოსნების ბონდარენკოს და რომანოვის გამოსახულებებს.

ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორები ქანდაკებებში წელამდე იქნებიან გამოსახულნი, ბრინჯაოს პრიზიორების დამსახურება კი ბიუსტებით აღინიშნება.

სპორტი ყველასათვის!

დიდუბე – ჩუღურეთის რაიონი ტოლს არავის უდებს



ქ. თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის მოწოდებით (უფროსი დ. ჭელიძე), დედაქალაქში ჩატარდა სპორტული ღონისძიებები მიძღვნილი მსოფლიო ახალგაზრდობის დღისადმი. დიდუბე – ჩუღურეთის რაიონში, სპორტის მთავარი სპეციალისტის ნ. გაგოშიძისა და წამყვანი სპეციალისტის ო. ჩხაიძის ხელმძღვანელობით ყველაფერი გაკეთდა. საცხოვრებელ ადგილებში, საინტერესოდ ჩატარებულიყო მასობრივი სპორტული შეჯიბრებები. რაიონის სერვისული მომსახურების ცენტრების უშუალო ჩარევით მრავლად გამოიყვანეს არასრულწლოვანები საასპარეზოდ. მაგიდის ჩოგბურთში ადგილები შემდეგნაირად განაწილდა; 1. სერვისული მომსახურების ცენტრი №1 (უფროსი ჯემალ ფირცხალაიშვილი), 2. სერვისული მომსახურების ცენტრი №7 (უფროსი ვლადიმერ ჯავახიშვილი), 3. სერვისული მომსახურების ცენტრი №3 (უფროსი შოთა ბერიანიძე). მასობრიობით (90-ზე მეტი მონაწილე) გამოირჩეოდა. შეჯიბრება ცურვაში, რომელიც ჩატარდა „დინამოს“ საცურაო აუზში. ეს ბაზა უსასყიდლოდ გამოჰყო აუზის დირექტორმა თენგიზ ივანიშვილმა, რისთვისაც ორგანიზატორთა და მონაწილეთა მადლობა დაიმსახურა.

შეჯიბრება გაიმართა 50 და 100 მეტრზე თავისუფალი სტილით და 50 მ. ბრასით ცურვაში სხვადასხვა ასაკში.

უმცროს ასაკში კარგი შედეგი აჩვენა დათო ჭრელაშვილმა (სერვისული ცენტრი №4). ქალებში – რეგინა გეირაბოვამ (სერვისული ცენტრი „აღმაშენებელი“), უფროს ასაკში ალექსანდრე ივლევმა – (სერვისული ცენტრი №1).

ნუხა გაგოშიძე,
საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი

პლუს არასრულწლოვანთა ტრადიციული სპარტაკიადა

ამ დღეებში დიდუბე – ჩუღურეთის რაიონში ჩატარდა არასრულწლოვანთა სპარტაკიადა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. მონაწილეობდა რაიონის სერვისული მომსახურების ცენტრების გუნდები სპორტის 6 სახეობაში („სტრიტბოლი“, მინიფეხბურთი, დარტსი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, ცურვა). სტარტზე გამოვიდა 600 მოზარდი. ამ ღონისძიების ორგანიზებაში დიდი წვლილი მიუძღვის ქ. თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურს (უფროსი დ. ჭელიძე), რაიონის გამგეობას (გამგებელი გ. ჩაჩანიძე) და რაიონის სერვისული მომსახურების სამმართველოს (უფროსი თ. წილოსანი).

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში პაპანაქება ცხელი დღეებია, ასპარეზობებში დიდი სურვილით ჩაება ქალაქში დარჩენილი მრავალი მოზარდი – სპორტსმენი. 10 დღის განმავლობაში ყველა მონაწილე ჩამოცილებული იყო ქუჩას, რაც ხელს უწყობს მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

საერთო გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. სერვისული ცენტრი №3 (უფროსი შოთა ბერიანიძე), 2. სერვისული ცენტრი №4 (უფროსი თამაზ კუპრაძე), 3. სერვისული ცენტრი №1 უფროსი ჯემალ ფირცხალაიშვილი. გამარჯვებულ სპორტსმენებს და გუნდებს გადაეცათ სამახსოვრო ფასიანი საჩუქრები, თასები და დიპლომები.

დასასრულ აღვნიშნავთ, სპარტაკიადა ტრადიციულია და იგი პოპულარობით სარგებლობს რაიონის მაცხოვრებელთა შორის. გამოითქვა მადლიერება მშობლების მხრიდან, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ასეთი შეჯიბრებები ასაქმებს ბავშვებს, მობილიზებას და ინტერესს აღძრავს სპორტში მოღვაწეობისათვის, რაც მთავარია, ემსახურება მათ ფიზიკურ გაჯანსაღებას. მადლობა ეთქმის „დინამოს“ საცურაო აუზის დირექტორს თენგიზ ივანიშვილს, რომელმაც უსასყიდლოდ დაუთმო ბაზა ნორჩებს.

ომარ ჩხაიძე,
დიდუბე – ჩუღურეთის რაიონის სპორტის წამყვანი სპეციალისტი

საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები

მზია ჯულელიდან – ესასრულოგისაკენ

1947 წელს არკადი არხანგელსკისთან შეუღლების შემდეგ, მზია ბათუმში გადავიდა საცხოვრებლად ქმრის ბაბუის ბინაში. ეს ოჯახი მთელ ქალაქში ცნობილი იყო თავისი სიკეთით. დედა რომ დაეღუპა, არიკა სულ პატარა იყო. 2 წლიდან დედინაცვალი ზრდიდა, უფრო მეტად დედინაცვლის დედა – ივლიტა ჩხიკვაძე. „არკადი ძალიან მეცოდებოდა, სულ გულში მყავდა ხოლმე ჩაკრული“ – ამბობდა თურმე ეს ღვთისნიერი ქალი. ჩხიკვაძეების ოჯახი შეძლებული და ქველმოქმედი ყოფილა. არც მათ შეარჩინეს. საკუთარი მართლმადიდებლური ეკლესიაც ჰქონიათ იქ, სადაც ამჟამად „ინტურისტია“ აგებული. იქვე დღემდეა შემორჩენილი მათი საცხოვრებელი სახლიც, რომელიც 1938 წელს ჩამოართვეს. ოჯახის წევრთა რეაბილიტაციის შემდეგ, ბევრი იდავეს ბინის დაბრუნებაზე, სასამართლოც მოიგეს, მაგრამ...

არკადი ომის შემდეგ, დონბასის აღდგენაზე გაგზავნეს შრომითი მობილიზაციით. მერე, როცა დაბრუნდა, „აჭარსელელექტროს“ მთავარ ინჟინრად დანიშნეს. შეთავსებით საზღვაო სასწავლებელში ლექციებს კითხულობდა. ერთ პატარა ბინაში შეყუჟული მრავალსულიანი ოჯახი რომ ნახეს, საზღვაო სასწავლებელმა არკადის და მზიას ცალკე ოთახი გამოუყო ლენინის ქუჩაზე. მზიამ და არკადიმ ერთი წელი იქ იცხოვრეს. მზია უკვე სახელიანი ტანმოვარჯიშე იყო და კვების პროდუქტების ბარათი „ლიტერ ბ“ მისცეს. ეს დიდი შეღავათი იყო. ამ პროდუქტებით ორმა ოჯახმა გაიტანა თავი ომისშემდგომ მძიმე წლებში – თბილისსა და ბათუმში. მიმაგრება თბილისზე იყო.

არკადი არხანგელსკი შემდეგ ქართული სპორტის თვალსაჩინო მუშაკი გახდა. საქართველოს სპორტული მოძრაობის ვეტერანი ვანო ბოჭორიძე იხსენებს: „არკადიმ დიდხანს იმუშავა საქართველოს სპორტკომიტეტში პასუხსაგებ თანამდებობებზე. ყველაზე რთულ საქმეს მას ავალებდნენ, როგორც უნარიან და დისციპლინიან ხელმძღვანელს. ასე იყო, როცა იგი საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადისთვის მზადების შტაბის ხელმძღვანელად დანიშნა საკავშირო სპორტკომიტეტმა. მათივე ბრძანებით, 1958 წელს, არკადი არხანგელსკის დაევალა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის შტაბის უფროსის მოადგილის მოვალეობის შესრულება და ფაქტობრივად, ამ გრანდიოზულმა სპორტულმა ღონისძიებამ, როგორც იტყვიან, მის მხრებზე გადაიარა“...

დავუბრუნდეთ მზიას სპორტულ კარიერას. ძველი სიგელები და დიპლომები აცოცხლებს გარდასული წლების პერიპეტიებს. თითოეული მათგანის მშრალ სტრიქონებს უკან მთელი ისტორიაა, გამორჩეული ქართველი სპორტსმენი ქალის სასახელო და საამაყო ისტორია. ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ სპორტსმენის ცხოვრებისთვის მნიშვნელოვან ფაქტს მოვიტანთ. 1946 წელს ერთ-ერთ საკავშირო შეჯიბრებაში მზიას უმაღლესი შეფასება 10 ქულა პირველად დაუმსახურებია. რას ნიშნავდა ეს სპორტსმენისათვის?

მზია ჯულელი: „10-ქულიან შეფასებას მსაჯები იშვიათად თუ აღირსებდნენ ტანმოვარჯიშეს. როგორც მერე მითხრეს, იმდენად დახვეწილად და არტისტულად შემოსრულებია ის ვარჯიში, მსაჯებს უმაღლესი შეფასება არ დანანებიათ. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა. ამას კი ის მოჰყვა, რომ უმალ სტიპენდია დამინიშნეს – 3 ათასი მანეთი. ეს უკვე ეკონომიკური ხელმოკლეობის დასასრულს ნიშნავდა. მაგრამ, მოკლე დროით. მერე დეკრეტულმა შვებულებამ უწია და... სტიპენდია შეუწყვიტეს. ეტყობა ეს პრობლემა საზოგადოდ იდგა დღის წესრიგში, რადგან კანონი მიიღეს და რვა თვის ფული ერთბაშად მისცეს. ბავშვს ელოდა, ფული სჭირდებოდა, ამიტომ ბანკში არ შეუნახავს და უეცრად, მთელი ეს თანხა გაუფასურდა, 1948 წელს ძველი ახალი კუპიურებით შეიცვალა. შემდეგ მაინც ყოველთვიური სტიპენდიით გაჰქონდა თავი, ცხადია, მეუღლესაც ჰქონდა შემოსავალი. არკადი იმდენად შეიყვარეს მზიას ბებიამ და ბაბუამ, დაჟინებით მოსთხოვეს მათთან გადავსულიყავით საცხოვრებლად. ასეც მოხდა. მით უფრო, წინ დიდი სიხარული ელოდათ – რეპრესირებული და სასჯელმოხდილი მზიას დედა შინ ბრუნდებოდა...

მარცხნიდან I რიგში: კოტე მადიჩი, ელენა გოკიელი, ... ტატიშვილი; II რიგში: გიორგი ..., მზია ჯულელი, არკადი არხანგელსკი; III რიგში: ასია ჯანუაშვილი, ლევან სანაძე, ნინა დუმბაძე, გრიგოლ მამარდაშვილი.

თენგიზ გაჩეჩილაძე

დასაწყისი იხ. „ლელო“ №40-41, 43-45, 47, 49, 51, 53, 55, 58, 60, 61.

გაგრძელება იქნება

ცნობები ინტერნეტის სამყაროდან

ანატოლი კარპოვი: „ჩვენი სამეულიდან სიურპრიზებს ელოდეთ“



გუშინ რუსეთის პრესაში გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ წლეულს, დეკემბერში, მოსკოვში გაიმართება მოჭადრაკეთა მატჩ-ტურნირი სამი დიდოსტატის – ანატოლი კარპოვის, გარი კასპაროვისა და ვლადიმირ კრამნიკის მონაწილეობით. ეს შეჯიბრება თითქოს ფიდეს ყოველწლიური ოფიციალური ჩემპიონატის ალტერნატიული ასპარეზობა იქნება. ჯერ კიდევ აპრილში გამოქვეყნდა „სამი „კ“-ს განცხადება“, რომ მე-12, მე-13 და მე-14 მსოფლიო ჩემპიონებმა დაივიწყეს უთანხმოება და მსოფლიოს საჭადრაკო სამყაროს შესთავაზეს მსოფლიო საჭადრაკო ფედერაციის მიერ ჩემპიონატის ახლებურად ჩატარების ფორმატი.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა, რომელიც ამჟამად ყაზანში იმყოფება და მონაწილეობს მატჩში „თათარისტანი-ევროპა“, თქვა, რომ მიდის მუშაობა ერთი ტურნირის თაობაზე, რომელიც შეიძლება მსოფლიო ჩემპიონატების სისტემის გარდამქმნელად მოგვევლინოს. ტურნირი იგეგმებოდა ჰოლანდიაში ოქტომბერში, მაგრამ, ორგანიზატორები ვერ ასწრებენ ტექნიკური პრობლემების მოგვარებას. სპონსორი კომპანია კი ჩვენთვის მიუღებელ თავის მოთხოვნებს გვთავაზობს. ამ მიზეზთა გამო შეიძლება ჩვენი ჩანაფიქრი მომავალი წლის აპრილ-მაისში, თუნდაც სექტემბერში განვახორციელოთ. მისივე თქმით, ეს ჩემპიონატი იმის სახელისა იქნება, ვინც მას ჩაატარებს. ამ ტურნირში კი კრამნიკი, კასპაროვი, კარპოვი, ანანდი და შიროვი ითამაშებენ. შეკითხვაზე, იქნება თუ არა ამ წლის დეკემბრის ტურნირი, ზემოხსენებული ტურნირის შემადგენელი ნაწილი, კარპოვმა უპასუხა, რომ დიახ, ეს მათი პირველი აქციაა, რომელიც ჯერ კიდევ დახვეწას მოითხოვს. „ისე, ამ ტურნირით ჩვენ გვსურს, ღირსეულად აღვნიშნოთ დიდი მიხეილ ბოტვინიკის დაბადებიდან 90 წლისთავი. ჩვენ ყველანი მისი მოსწავლეები ვიყავით. შეჯიბრებას ალბათ ასეც დავარქმევთ: „ბოტვინიკის ხსოვნის სამთა ტურნირი“, რის შესახებაც რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინსაც ვაცნობეთ.

მენცი საუდამო დისკვალიფიკაციით დასაჯეს

ჩეხ მძლეოსანს მიროსლავ მენცს, რომელმაც 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მეათე ადგილი დაიკავა ბირთვის კვრაში, ჩეხეთის ეროვნულმა ფედერაციამ სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, იმის გამო რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში მეორედაა მხილებული დოპინგის გამოყენებაში. 26 აპრილს მენცის ანალიზში აღმოჩნდა აკრძალული პრეპარატი ნანდროლინი, რომელიც 23-ჯერ აღემატებოდა დასაშვებ ნორმას. მანამდე, 1998 წელს, მას უკვე ჰქონდა ორწლიანი დისკვალიფიკაცია დოპინგის გამოყენებისათვის.

ყოველივე ამას მენცმა „ფარსი“ უწოდა და უკვე შეიტანა განცხადება სააპელაციო კომიტეტში.

ბერძნებმა ესპანეთში დათმეს

ესპანეთისა და საბერძნეთის კალათბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა გუნდებმა ამხანაგური მატჩი გამართეს ესპანეთის ქალაქ სან-ფერნანდოში. ანგარიშით 84:79 გაიმარჯვეს მასპინძლებმა, რომელთაგან საუკეთესო იყო გაზოლი (20 ბურთი), ბერძენთაგან რენდციასი (24).

ჩოგბურთელები ტორონტოში

ქალთა დიდი საერთაშორისო ტურნირი „ტორონტოს თასი“, რომლის საპრიზო ფონდი მილიონ ორასი ათასი დოლარია, გუშინწინ დაიწყო. მეორე წრეში ამერიკელმა მონიკა სელეშმა სძლია თანამემამულე მარისა ირვინს — 6:3, 6:2; ამანდა კეტცერმა (სამხ. აფრ) მოუგო იტალიელ რიტა გრანდეს — 6:2, 6:3. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ბედნოვა (ჩეხ.) — მალეევა (ბულგ.) — 6:4, 7:6 (7:4), შონესი (აშშ) — არაგო (იაპ.) — 6:0, 6:4, დოკიჩი (იუგ) — სერენა (ესპ.) — 6:1, 6:4, ფრეზერი — რუბინი (ორივე — აშშ) — 6:4, 3:6, 1:0 (უარი), ხუბური (გერმ) — დომინკოვიჩი (ავსტრ) — 7:6 (7:3), 6:1.

პაატა ჯინჭარაძე ორი კვირა ვერ ითამაშებს



სარატოვის „სოკოლის“ ნახევარმცველმა პაატა ჯინჭარაძემ ის-ის იყო მოიშუშა ტრავმა, რომ ხელახლა დაშავდა გუნდის ორმხრივ თამაშში. ექიმებმა ახლა მას არათუ თამაში, ვარჯიშიც აუკრძალეს, რამაც ფეხბურთელს, როგორც იტყობინებიან, ცრემლები მოჰგვარა.

სტეისი დრაგილა და პორის გრინი – მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნები

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (იაიფი) გამოაქვეყნა ახალი რეიტინგი, რომელშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა კანადაში ახლახან დამთავრებულმა მსოფლიოს ჩემპიონატმა. სწორედ აქ 100 მ-ზე რბენაში დამარცხების შემდეგ, ამერიკელმა მერიონ ჯონსმა ქალთა რეი-

ტინგში პირველობა დაუთმო თავის თანამემამულეს, ჭოკით სიმაღლეზე მხტომელ სტეისი დრაგილეს, რომელსაც 1462 ქულა აქვს, მეორე ადგილზეა მერიონ ჯონსი — 1455, მესამე ადგილზე კვლავ რუმინელი გაბრიელა საბო — 1415. ვაჟთა შორის სამეული ასე გამოიყურება: 1. მორის გრინი (აშშ) — 1473, 2. ხიშამ ელ-გერსეეი (მაროკო) — ამ ადგილებს ორივე ადრეც ინარჩუნებდა. 3. ალენ ჯონსი (აშშ), რომელმაც მესამე საფეხურზე მეთორმეტედან გადაინაცვლა.

გრინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათია შარბათიო, ფეხბურთი კი მარადიო!

ერთი კვირაც გავიდა და აგერ უმაღლესი ლიგის მეოთხე ტურიც კარს მოგვადგა. ტურს ტრადიციულად შაბათ-კვირა უმასპინძლებს.

შაბათს ხუთი მატჩია, ერთი — მართლაც გამორჩეული. ზღვისპირეთ მოვლილი „ლოკომოტივი" „ვიტ ჯორჯიას" მიიღებს. არაა გამორიცხული გათამაშების ცხრილში მეზობლად მყოფი გუნდების დაძაბული ჭიდილიც და ბომბარდირების სირბილაძისა და მელქაძის შეჯიბრებაც ვიხილოთ. წინა ტურში, შინ მწარედ დამარცხებული „გორდა" წყალტუბოს ესტუმრება. აქაც უკომპრომისო შერკინებაა მოსალოდნელი. სხვა შეხვედრებში ფავორიტებმა უნდა იძალონ. თბილისის „დინამო" ცხრილის ფსკერზე დალექილ „მეტალურგს" ეროვნულზე უმასპინძლებს. „ტორპედო" „სიონს" შინ დაუჯდება. ფოთელები კვლავ მასპინძლები არიან, მათი სტუმარი ლანჩხუთის „გურია" იქნება.

კვირას ტურის გვირგვინია. მეორე და მესამეადგილოსანი „მერანი" და ბათუმის „დინამო" აკჭალაში საბრძოლველად გამწკრივდება. ტურში ისეთი მატჩებია, თავისუფლად შეიძლება სატურნირო ვითარება საგრძნობლად შეიცვალოს. ლიდერები და აუტსაიდერები ერთმანეთს უფრო დასცილდნენ, თუმცა — ვინ იცის...

განვლილ სამ ტურში 18 მატჩი ჩატარდა, 12 მასპინძლებმა მოიგეს, 3 — სტუმრებმა, ამდენივე ფრედ დასრულდა. მასპინძლების უპირატესობა აშკარაა, სტუმრებმა მხოლოდ მესამე ტურში შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა და ერთბაშად სამი მატჩი მოიგეს. -პირველ ტურში ყველაზე მეტი, 21 გოლი იხილა მაყურებელმა, მეორე და მესამე ტურებში გოლების რაოდენობა თანაბარია 15-15. (საშუალოდ 2,83 ერთ მატჩში). აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ერთ მატჩში დაფიქსირდა ნულოვანი ფრე, ასე დაშორდნენ ერთმანეთს, მეორე ტურში „ვიტ ჯორჯია" და ბათუმის „დინამო".

ბოლო ტურში სტუმრებმა მასპინძლებს უშეღავათო ბრძოლა გაუმართეს, წაგება-მოგება თანაბრად გაიყო, ბურთების შეფარდება 6-9 სტუმართა სასარგებლოდაა.

მეოთხე ტური წესით მასპინძელთა უპირატესობით უნდა წარიმართოს.

18.08

ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია
დინამო (თბ) — მეტალურგი
სამგურალი — გორდა
ტორპედო — სიონი
კოლხეთი1913 — გურია

19.08

მერანი — დინამო (ბთ).

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ტორპედო	3	3	0	0	7-0	9
მერანი	3	2	1	0	7-1	7
დინამო (ბთ)	3	2	1	0	5-1	7
კოლხ. 1913	3	2	0	1	8-4	6
ვიტ ჯორჯია	3	1	1	1	5-3	4
დინამო (თბ)	3	1	1	1	3-3	4
გორდა	3	1	1	1	4-6	4
ლოკომოტ.	3	1	0	2	4-4	3
სამგურალი	3	1	0	2	3-9	3
სიონი	3	1	0	2	2-5	3
გურია	3	0	1	2	2-6	1
მეტალურგი	3	0	0	3	1-9	0

შენიშვნა:

უმაღლესი ლიგის IV ტურის სამი შეხვედრა
ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია
დინამო (თბ) — მეტალურგი
ტორპედო — სიონი
დაიწყება 20 საათზე.

პირველი მატჩი წააგეს

საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრებმა, ირანში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში პირველი მატჩი გამართა და, სამწუხაროდ, თავრიზის გუნდთან პენალტებით 1-4 დამარცხდა. გელა გომელაურის შეგირდები მეორე შეხვედრას ირანის თანატოლთა ნაკრებთან ჩაატარებენ.

ჟორჟიკაშვილელები კი იგებენ

პალანგის საერთაშორისო ტურნირში მოასპარეზე კობა ჟორჟიკაშვილის 17 წლამდელთა ნაკრებმა პირველი ორი მატჩი მოიგო. ქართველებმა ჯერ ლატვია დაამარცხეს 2-1 (ყველაშვილი, ხოჯავა), მერე ლიტვის პირველი გუნდიც დაჯაბნეს მინიმალური სხვაობით 1-0 (ჭელიძე), გუშინ საღამოს კი მთავარ კონკურენტს რუსეთის ნაკრებს შეხვდნენ.





XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

IV ტურის ანონსი

I ლიგა

დინამო-2 — ლოკომოტივი-3
მიქავა (ზოლებიან მაისურში)

შეკვეცილი ტური

ექვსი მატჩიდან მხოლოდ სამი შეხვედრა ჩატარდა პირველი ლიგის **პირველ ტურში. სამი მატჩის** გადადების მიზეზი კლუბების უსახსრობაა, რაც „ლელოს" წინა ნომერში გაუწყეთ კიდეც. სავარაუდოდ, ისინი სექტემბრის პირველ რიცხვებში გაიმართება. ჩატარებულ შეხვედრებში 8 გოლი გავიდა. დიდი ანგარიშით გაიმარჯვა თბილისის „დინამოს" მეორე გუნდმა, რკინიგზელების მესამე გუნდმა დინამოელებს წინააღმდეგობა ვერ გაუწია. თბილისის კიდევ ერთმა კლუბმა „მერანი-2"-მა თანაქალაქელ სტუდენტებს მინიმალური სხვაობით აჯობა. დაძაბული გამოდგა მატჩი ხობში, სადაც „კოლხეთი" და წნორის „მილანი" დაზავდნენ.

საბა ლომინაძე

ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები

I ტური, 14.08

მერანი91-2 — თსუ 1-0
კოლხეთი — მილანი 1-1
დინამო-2 (თბ) — ლოკომოტივი-3 3-0
დილა — ლაზიკა (გადაიდო)
იბერია — ქობულეთი (გადაიდო).

15.08

ცხინვალი — თორი (გადაიდო).

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დინ.-2 (თბ)	1	1	0	0	3-0	3
მერანი-91-2	1	1	0	0	1-0	3
კოლხეთი (ხ)	1	0	1	0	1-1	1
მილანი (წნ.)	1	0	1	0	1-1	1
დილა	0	0	0	0	0-0	0
ლაზიკა	0	0	0	0	0-0	0
იბერია	0	0	0	0	0-0	0
ქობულეთი	0	0	0	0	0-0	0
ცხინვალი	0	0	0	0	0-0	0
თორი	0	0	0	0	0-0	0
თსუ	1	0	0	1	0-1	0
ლოკომოტ.3	1	0	0	1	0-3	0

FLF

ამხანაგური საერთაშორისო მატჩი

მოგებიანი დებიუტი

15 აგვისტო. ლუქსემბურგი. 22.00 საათი.

ლუქსემბურგი — საქართველო 0–3

საქართველო: **გვარამაძე (ლომაია), საჯაია, ხიზანიშვილი, ხიზანიშვილი, ბურდული (ონიანი), ქემოკლიძე, ცქიტიშვილი, გახოკიძე (შაშიაშვილი), ჯამარაული, დემეტრაძე (ასათიანი), ალექსიძე.**
გოლები: **0-1 დემეტრაძე (33), 0-2 ალექსიძე (56), 0-3 დემეტრაძე (79).**
დემეტრაძემ ვერ გამოიყენა პენალტი.



რატი ალექსიძე

მერაბ მალაღურაძე

ჩივაძის დამოძღვრილმა ეროვნულმა გუნდმა ლუქსემბურგის ნაკრებს დიდი ანგარიშით მოუგო. ძნელია სრულყოფილი წარმოდგენა გქონდეს მატჩზე, რომელიც არ გინახავს, ან რა მოხდა მერე ისეთი, ლუქსემბურგმა მორიგი მატჩი წააგო, თანაც ამხანაგური. განსაკუთრებული არც არაფერი, მაგრამ, როდესაც გამარჯვებული შენიანია, სასიამოვნოა. ქართველთა ნაკრებში სამი დებიუტანტი იყო, თავად მწვრთნელი და ორი ფეხბურთელი, ონიანი და ბურდული. დემეტრაძემ ნაკრებში დაბრუნება ორი გოლით აღნიშნა, საერთოდ კი, ეს მისი პირველი გოლებია ნაკრებში. ალექსიძემაც ნაკრებში პირველი გოლი გაიტანა.

გიორგი დემეტრ

უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ეს მოგება, ალბათ, გუნდს დარჩენილი შესარჩევი მატჩების მოლოდნიში (უნგრეთი, ლიტვა, რუმინეთი) უპირველესად მობილიზაციისათვის და მყარი ფსიქოლოგიური განწყობისათვის გამოადგება.

საბა ლომინაძე

ქართველი მსაჯები ახალგაზრდა ავსტრიელთა მაჩს გაუძღვებიან

მერაბ მალაღურაძე — მთავარი მსაჯი, ასისტენტები — ლევან მიქელაძე, გოჩა ცირდავა და ლევან ფანიაშვილი. ეს ოთხეული მოემსახურება ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს ავსტრიაში, ადგილობრივი და ბოსნიის ნაკრებ გუნდებს შორის.

„გოლეადორის" ბრიტანული გოლები

ან უ ის, რასაც სრული ტრიუმფი ჰქვია

საერთაშორისო ტურნირებში ტრიუმფალურ სვლას აგრძელებს ქართველ ჭაბუკთა გუნდი „გოლეადორი". „მერანის" საფეხბურთო სკოლის გუნდმა, რომელიც წვრთნას რუსეთში გადის, პრიზების მდიდარ კოლექციას კიდევ რამდენიმე შემატა. 30 ივლისიდან 7 აგვისტომდე ბონდო კაკუბავას შეგირდები ინგლისში, ლივერპულის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ. მათი მეტოქეები მხოლოდ მასპინძლები, ინგლისური გუნდები იყვნენ. ორ ჯგუფად დაყოფილი რვა გუნდი ერთმანეთს ფინალში გასასვლელად ეპაექრებოდა. ეს კი, როგორც წესია, მხოლოდ ორმა შეძლო, „გოლეადორმა" და ლივერპულის გარეუბან ნოუსლის გუნდმა. ფინალური მატჩი ქართველი 17 წლის ჭაბუკების გამარჯვებით 4-2 დასრულდა. „მერანის" საფეხბურთო სკოლის წარგზავნილებს ტურნირის გამარჯვებულის თასთან ერთად ინდივიდუალური პრიზებიც ერგოთ. შეჯიბრების საუკეთესო ფეხბურთელი გახდა კ. დარსანია, ბომბარდირი – გ. მოდებაძე. „გოლეადორმა" მიიღო სამართლიანი თამაშის პრიზიც. ამას ჰქვია სრული ტრიუმფი.

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

ეკვადორი — არგენტინა

სამხრეთ ამერიკა

არგენტინა კორეა-იაპონიაშია

სამხრეთ ამერიკის ზონაში შესარჩევი მატჩები გადამწყვეტ ფაზაში შედის. გუნდებს დარჩათ 4-4 შეხვედრა ჩასატარებელი. გუშინ გამართული მატჩებიდან მოულოდნელი შედეგით დასრულდა შეხვედრა ვენესუელაში, სადაც ადგილობრივმა ნაკრებმა ურუგვაის ნაკრებს სძლია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ვენესუელთა ნაკრების მეოთხე (!) გამარჯვებაა შესარჩევ ციკლში 1965 წლიდან.

მთელი შეხვედრის მანძილზე აშკარა იყო მასპინძელთა, როგორც ტერიტორიული, ისე სათამაშო უპირატესობა. ჯერ კიდევ მე-11 წუთზე არანგოს შესანიშნავი გადაცემით მორანა გაექცა ურუგვაელ მცველებს, მაგრამ მისი დარტყმის შემდეგ ბურთი ძელს მოხვდა. 23-ე წუთზე თავად არანგოს დარტყმა მცირე მანძილით ასცდა კარს. ერთადერთი ფეხბურთელი, რომლის გამოყოფა ურუგვაის ნაკრებში შეიძლება, ეს იყო ალვარო რეკობა. პირველი ნახევრის დასასრულისკენ მსაჯმა დაინდო ურუგვაელები, როცა დარიო სილვამ იდაყი ჩასცხო მასპინძელთა მეკარეს. მეორე ნახევრის დასაწყისში, დანიელ ნორიეგას გადაცემის შემდეგ, მორანმა საკმაოდ მახვილი კუთხიდან გახსნა ანგარიში.

ვენესუელა — ურუგვაი

გაშვებული გოლის შემდეგ თითქოს გამოფხიზლდნენ ურუგვაელი ფეხბურთელები და რეკობას შორეული დარტყმა უკვე ვენესუელთა კარის ძელმა მოიგერია. შეხვედრის საბოლოო ანგარიში მსაჯის მიერ დამატებულ დროში დაფიქსირა შეცვლაზე შემოსულმა ალექსანდრ რონდონმა 2-0. ასე მოიპოვა ვენესუელის ნაკრებმა სენსაციური გამარჯვება.

ჩილე — ბოლივიას შეხვედრაში სტუმრები, ბოლივიელი ფეხბურთელები, ორჯერ დაწინაურდნენ, მაგრამ მარსელო სალასმა ორივეჯერ გაათანაბრა ანგარიში.

მას შემდეგ, რაც არგენტინის ნაკრებმა სტუმრად სძლია ეკვადორის ნაკრებს 2-0, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაში მონაწილეობა გაინაღდა და მერვე ქვეყანაა, რომელმაც უკვე მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური. შეგახსენებთ ამ ქვეყნებს: კორეა და იაპონია (როგორც მასპინძლები), კამერუნი, ნიგერია, ტუნისი, სენეგალი და სამხრეთ აფრიკა.

შეხვედრის მე-19 წუთზე ვერონის შორეულმა დარტყმამ მიაღწია მიზანს. შეხვედრის 34-ე წუთზე მსაჯმა თამაშიდან გააძევა ჩალი და ეკვადორელთა კარში დანიშნა 11-მეტრიანი, რომელიც კარგად გამოიყენა კრესპომ.

ბრაზილია — პარაგვაის შეხვედრის დასაწყისშივე ბრაზილიელმა მარსელინიომ გახსნა ანგარიში, ამის შემდეგ უპირატესობას დაეუფლნენ სტუმრები — პარაგვაის ფეხბურთელები, მათ ვერ გამოიყენეს აშკარა საგოლე მომენტები ანგარიშის გასათანაბრებლად. მეორე ნახევარში შეცვლაზე შემოსულმა დენილსონმა ჩამოიტოვა რამდენიმე მცველი და ბრწყინვალედ გადაწოდა რივალდოს, რომლის თავურმა დარტყმამ მეორედ შეარხია პარაგვაელთა კარის ბადე. ამ შეხვედრაში მოხდა უსიამოვნო ინციდენტი — პარაგვაელთა მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტსა და ბრაზილიელთა მცველ რობერტო კარლოს შორის, მათი შეკინკლავება ერთმანეთის შეფურთხებით დასრულდა.

ამ შეხვედრის მსაჯის, გერმანელ ჰელმუნდ. კრუგის მიმართ ორივე გუნდის მწვრთნელებმა პრეტენზიები გამოთქვეს.

ჩილე — ბოლივია 2-2
0-1 ბალდივესო (11 პენ), 1-1 სალასი (35 პენ), 1-2 კოიმბრა (73), 2-2 სალასი (77).

ვენესუელა — ურუგვაი 2-0
მორანი (53), რონდონი (90).

ეკვადორი — არგენტინა 0-2
ვერონი (19), კრესპო (34 პენ).

ბრაზილია — პარაგვაი 2-0
მარსელინიო (5), რივალდო (70).

სატურნირო მდგომარეობა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
არგენტინა	14	11	2	1	35-11	35
პარაგვაი	14	8	2	4	21-13	26
ეკვადორი	14	8	1	5	17-18	25
ბრაზილია	14	7	3	4	24-12	24
ურუგვაი	14	6	3	5	14-14	21
კოლუმბია	13	5	4	4	12-12	19
ბოლივია	14	3	5	6	14-20	14
პერუ	13	3	3	7	12-17	12
ჩილე	14	3	2	9	14-20	11
ვენესუელა	14	2	1	11	10-40	7

ევროპა

I ჯგუფი

იუგოსლავია — ფარერის კუნძულები 2-0
მიხაილოვიჩი (23), ჯუკიჩი (85).

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
რუსეთი	7	5	2	0	10-3	17
სლოვენია	7	3	4	0	11-7	13
იუგოსლავია	7	3	3	1	14-4	12
შვეიცარია	7	3	2	2	14-6	11
ფარერ. კ-ბი	7	1	1	5	5-17	4
ლუქსემბ.	7	0	0	7	2-18	0

იუგოსლავია — ფარერები

II ჯგუფი

ესტონეთი — კვიპროსი 2-2
0-1 კონსტანტინუ (39 პენ), 1-1 ლემსალუ (53), 1-2 კონსტანტინუ (70), 2-0 ნოვიკოვი (90).

ირლანდია	8	5	3	0	18-5	18
პორტუგ.	7	4	3	0	18-5	15
ჰოლანდია	7	4	2	1	21-8	14
ესტონეთი	8	2	2	4	10-16	8
კვიპროსი	8	2	2	4	12-24	8
ანდორა	8	0	0	8	4-25	0

ბრაზილია — პარაგვაი

გეორგე ჰაჯი საოპერაციო მაგიდაზე



ამხანაგურ შეხვედრაში, რომელშიც ერთმანეთს ხვდებოდნენ სლოვენიისა და რუმინეთის ნაკრებები, უნდა შემდგარიყო გეორგე ჰაჯის დებიუტი მწვრთნელის როლში, მაგრამ იმის მაგივრად, რომ „კარპატების მარადონა" მწვრთნელის სკამზე ეხილათ, ის მოხვდა საოპერაციო მაგიდაზე. გერმანიის ერთ-ერთ კლინიკაში მას ჩაუტარდა ოპერაცია ქვების დაშლაზე.

შეკითხვა – თქვენი – პასუხი ჩვენი!

შეკითხვა: შეიძლება თუ არა ინტერნეტის მეშვეობით ფეხბურთის ფორმის შეძენა?
პასუხი: ერთადერთი, რაც ჩვენ შეგვიძლია, ესაა შემოგთავაზოთ ინტერნეტში შესაბამისი საიტის მისამართი: www.fanshop.ru

შეკითხვა: როდის შეიძლება საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშოს?
პასუხი: იგივეს თქვენც გეკითხებით, რასაც გვიპასუხებთ, მეტი არც ჩვენ ვიცით.

შეკითხვა: გადაიცემა თუ არა ჩემპიონთა ლიგის მატჩები ტელევიზიით?
პასუხი: ჯერჯერობით ცნობილია, რომ ყოფილ საბჭოთა სივრცეში ჩემპიონთა ლიგის მატჩების ტელეტრანსლაციას მხოლოდ НТВ გეგმავს.

შეკითხვა: ვინ არის ამჟამად „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი?
პასუხი: ალექს ფერგიუ სონი.

შეკითხვა: როდის გაიმართება მატჩი სუპერთასზე მავარიისა და ლივერპულის გუნდებს შორის?
პასუხი: ამ მატჩის ჩატარება მონაკოშია დაგეგმილი 24 აგვისტოს.

შეკითხვა: რამდენჯერ მოიგო „მანჩესტერ იუნაიტედმა" ჩემპიონთა ლიგა?
პასუხი: ორჯერ — 1968 და 1999 წლებში.

შეკითხვა: როდის ჩატარდება ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ეტაპის წილისყრა?
პასუხი: 23 აგვისტოს.

შეკითხვები მოგვწერეთ რედაქციაში ან გამოგვიგზავნეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე:
gazeti_lelo@hotmail.com

ამხანაგური საერთაშორისო მატჩები

პორტუგალია — მოლდოვა 3-0
ფიგუ (43 პენ, 61 პენ, 90).

ფინეთი — ბელგია 4-1
1-0 ფორსელი (2), 2-0 კოლკა (14), 3-0 ლიტმანენი (30), 3-1 გორი (37), 4-1 ტიპინენი (79).

სლოვენია — რუმინეთი 2-2
0-1 ნიკოლაე (14), 1-1 აჩიმოვიჩი (55), 1-2 მოლდოვანი (66), 2-2 ზაჰოვიჩი (75).



უნგრეთი — გერმანია

ლატვია — უკრაინა 0-1
მელეშენკო (20)

ირლანდია — ხორვატია 2-2
1-0 დაფი (21), 2-0 მორისონი (78), 2-1 ვუგრინეცი (80), 2-2 შუკერი (90 პენ.).

საფრანგეთი — დანია 1-0
პირესი (13).

ავსტრია — შვეიცარია 1-2
0-1 ფოგელი (10), 1-1 ჰერცოგი (61), 1-2 მ. იაკინი (74).

უნგრეთი — გერმანია 2-5
0-1 ბომე (31), 0-2 კელი (44), 0-3 იანკერი (46), 0-4 ბაუმანი (59), 1-4 ტოკოლი (64), 2-4 ჰორვატი (89), 2-5 ბირჰოფი (90).

საფრანგეთი — დანია

ინგლისი — ჰოლანდია 0-2
ვან ბომელი (38), ვან ნისტელროი (39).

ბოსნია — მალტა 2-0
ბალიჩი (17), ბალიჩი (22).

შვედეთი — სამხრეთ აფრიკა 3-0
ლარსონი (5 პენ), ოლბეკი (56), ა. ანდერსონი (85).

ბულგარეთი — მაკედონია 1-0
ბალაკოვი (49 პენ).

ნორვეგია — თურქეთი 1-1
1-0 სოლსკიაერი (75 პენ), შუქური (78).

ლიტვა — ისრაელი 2-3
0-1 გერშონი (35), 1-1 იანკაუსკასი (42), 2-1 ჰოშკუსი (54), 2-2 ბანინი (71), 2-3 ნიმნი (87).

სლოვაკეთი — ირანი 3-4
0-1 კარიმი (7), 0-2 კარიმი (16), 1-2 ორავეცი (18), 2-2 ორავეცი (19), 3-2 ვიტეკი (30), 3-3 ვაჰედი (43), 3-4 კარიმი (83).

ისლანდია — პოლონეთი 1-1
0-1 ჰრეიდარსონი (17 საკ. კარში), 1-1 სიგპორსონი (86).

რუსეთი — საბერძნეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლანდიის ჩემპიონატის 2001–2002 წლების გათამაშების კალენდარი

I ტური, 17 აგვისტო
ტვენტე — ვალვაიკი

18 აგვისტო
დენ ბოსხი — ჰერენვენი
გრონინგენი — პსვ
ბრედა — უტრეხტი
გრაასფსჰაპი — ალკმაარი

19 აგვისტო
აიაქსი — როდა
ვილემი II — ნაიმეგენი
ფეიენორდი — სპარტა
ფორტუნა — ვიტესი

II ტური, 21 აგვისტო
ბრედა — ტვენტე

22 აგვისტო
სპარტა — უტრეხტი
როდა — ფეიენორდი
პსვ — დენ ბოსხი
გრონინგენი — ვილემი II
ვიტესი — ალკმაარი
ფორტუნა — გრაასფსჰაპი
ნაიმეგენი — ვალვაიკი

III ტური, 24 აგვისტო
ჰერენვენი — ბრედა

25 აგვისტო
ვილემი II — პსვ
ტვენტე — როდა
ვიტესი — უტრეხტი
ალკმაარი — სპარტა
გრაასფსჰაპი — ნაიმეგენი

26 აგვისტო
ფეიენორდი — აიაქსი
ვალვაიკი — გრონინგენი
დენ ბოსხი — ფორტუნა

IV ტური, 7 სექტემბერი
ჰერენვენი — ვიტესი

8 სექტემბერი
როდა — გრაასფსჰაპი
ტვენტე — აიაქსი
ნაიმეგენი — ფეიენორდი
პსვ — ფორტუნა
ალკმაარი — ბრედა

9 სექტემბერი
სპარტა — ვალვაიკი
ვილემი II — დენ ბოსხი
უტრეხტი — გრონინგენი

V ტური, 14 სექტემბერი
ფორტუნა — ვილემი II

15 სექტემბერი
ვიტესი — სპარტა
ბრედა — პსვ

16 სექტემბერი
ვალვაიკი — ჰერენვენი
აიაქსი — ალკმაარი
დენ ბოსხი — ნაიმეგენი
გრონინგენი — ტვენტე
ფეიენორდი — გრაასფსჰაპი
უტრეხტი — როდა

VI ტური, 21 სექტემბერი
როდა — დენ ბოსხი

22 სექტემბერი
ტვენტე — ფეიენორდი
ვალვაიკი — ფორტუნა
ჰერენვენი — პსვ

23 სექტემბერი
გრაასფსჰაპი — ვიტესი
აიაქსი — სპარტა
ალკმაარი — უტრეხტი
ბრედა — ვილემი II
ნაიმეგენი — გრონინგენი

VII ტური, 28 სექტემბერი
გრაასფსჰაპი — ბრედა

29 სექტემბერი
ვილემი II — ალკმაარი
პსვ — ვიტესი
ფორტუნა — ნაიმეგენი

30 სექტემბერი
დენ ბოსხი — ფეიენორდი
უტრეხტი — ვალვაიკი
როდა — ჰერენვენი
სპარტა — ტვენტე
გრონინგენი — აიაქსი

VIII ტური, 7 ოქტომბერი
სპარტა — დენ ბოსხი

9 ოქტომბერი
ალკმაარი — პსვ
ბრედა — როდა

10 ოქტომბერი
აიაქსი — ნაიმეგენი
ვალვაიკი — გრაასფსჰაპი
ჰერენვენი — უტრეხტი
ტვენტე — ვილემი II
ფეიენორდი — ფორტუნა

IX ტური, 12 ოქტომბერი
როდა — პსვ

13 ოქტომბერი
ფორტუნა — სპარტა
